საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ირაკლი ქსოვრელის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	20	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	22	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	85	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი : 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ირაკლი ქსოვრელის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. რეკომენდატორები ირაკლი ქსოვრელის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს უმაღლეს შეფასებას უწერენ. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატის პიროვნული კეთილსინდისიერება ცნობილია ყველასთვის, ვისაც ჰქონია მასთან შეხება. ამასთან, რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ კანდიდატი არის უაღრესად პატიოსანი, მაღალი მართლშეგნების მქონე მოქალაქე, რომელიც სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას გამოირჩევა გამჭვირვალობის მაღალი ხარისხით.

ირაკლი ქსოვრელს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ირაკლი ქსოვრელი დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი პიროვნებაა. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ მას რთულად წარმოუდგენია ირაკლი ქსოვრელზე ზეწოლის განხორციელება. იგი ყოველთვის მკაცრად იცავს ამა თუ იმ საკითხზე მისეულ პოზიციას და იოლად არ ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ.

საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატმა კრიტიკული პოზიციები გამოხატა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და ზოგადად, სასამართლო სისტემის მიმართ, აღნიშნა, რომ ყველაზე დიდ პრობლემას ხედავს იმაში, რომ სასამართლო სისტემას აქვს საზოგადოების დაბალი ნდობა. მისი თქმით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა დაივიწყოს ფრაზა „კანონი არ დაგვირღვევია". კანდიდატმა აღნიშნა, რომ წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, მიმდინარე კონკურსის მიმართ ვერ ექნება დიდი ნდობა, თუმცა აქვს იმედი, რომ საბჭო დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს მასთან დაკავშირებით. ასევე, კანდიდატმა გამოთქვა მოსაზრება, რომ წინა კონკურსთან შედარებით მიმდინარე კონკურსი გაცილებით უფრო აკადემიურია.

კონკურსანტის მიერ კრიტიკული მოსაზრების გამოხატვა შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წინაშე მეტყველებს კანდიდატის გაბედულებაზე.

ირაკლი ქსოვრელი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ირაკლი ქსოვრელის პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება ქცევის მაღალ სტანდარტს. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატი გამოირჩევა აუღელვებლობით, თავშეკავებულობითა და გაწონასწორებული ხასიათით. რეკომენდატორები მიუთითებენ კანდიდატის უნარზე მართოს სტრესული და კრიტიკული ვითარება, შეინარჩუნოს სიმშვიდე.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ ირაკლი ქსოვრელის მიმართ დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მოსარჩელედ მონაწილეობდა სამოქალაქო საქმეში, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 09 ივლისის განჩინებით მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვა უარი. ამასთან, კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ირაკლი ქსოვრელს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად, რომელიც სარგებლობს პატივისცემით კოლეგებს შორის, პროფესიულ და აკადემიურ წრეებში.

ე). **ფინანსური ვალდებულება** - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ირაკლი ქსოვრელი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რომელიც კეთლსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: ირაკლი ქსოვრელმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა სამართლის ნორმების ცოდნა. გასაუბრების პროცესზე კანდიდატმა ისაუბრა გამოხატვის თავისუფლებაზე, მოიხმო ამერიკული და ევროპული მიდგომები, იმსჯელა მყისიერი საფრთხის ტესტზე და გამოხატა საკუთარი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით. კანდიდატმა განმარტა აღმასრულებელი პრივილეგიის არსი, იმსჯელა შეჯიბრებით და ინკვიზიციურ პროცესზე, უდანაშაულობის პრეზუმფციის საკითხზე, ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის გავრცელების შესაძლებლობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატმა ცალკეულ შეკითხვებს ამომწურავად უპასუხა, გამოვლინდა ცალკეული ნაკლოვანებებიც: განმარტებები ევროპული კონვენციის მე-17 და მე-18 მუხლებით დაცულ სფეროსთან დაკავშირებით არ იყო სრულყოფილი. ასევე, კანდიდატი კარგად არ იცნობს სამოქალაქო საპროცესო სამართალს.

აღსანიშნავია, რომ ირაკლი ქსოვრელს სამოსამართლო გამოცდილება არ გააჩნია. იგი ამჟამად მუშაობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი სრულყოფილად იცნობს საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, მათ შორის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატის, როგორც იურისტის აზროვნება სამართლის პრინციპებზეა დაფუძნებული. მას აქვს გადასაჭრელი საკითხის სწორად ანალიზისა და შედეგად მართებული გადაწყვეტილების მიღების უნარი. კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარი ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნებითაცაა გამყარებული.

საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატმა ისაუბრა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, იმსჯელა საკონსტიტუციო თუ სისხლის სამართლიდან მნიშვნელოვან საკითხებზე, გამოხატა განსხვავებული მოსაზრება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე და განმარტა, რატომ არ ეთანხმება მას. მართალია, კანდიდატი საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას ზედმიწევნით იცნობს, თუმცა მისივე თქმით, იგი არ იცნობს კარგად უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას.

წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი: ირაკლი ქსოვრელმა წარმოადგინა 2 სამართლებრივი ნაშრომი, კერძოდ სამეცნიერო სტატია სახელწოდებით *„საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური უფლებების გამოყენება - უფლების დაცვის ეფექტური საშუალება (Application of The Constitutional Rights by the Common Courts- Effective Remedy for Human Rights Protection)* და სამაგისტრო ნაშრომი - *Aggressive Tax Planning – Challenge of the Digital Era (Lund University, Spring 2015).* კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ ირაკლი ქსოვრელი აზრს გადმოსცემს ნათლად, გასაგებად და სტრუქტურულად. კანდიდატი ფლობს აკადემიური წერის უნარ-ჩვევებს. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატი სრულყოფილად ფლობს წერის უნარს, იგი გადმოსცემს არა მხოლოდ ინფორმაციას, არამედ კონკრეტული ფაქტების ლოგიკური ანალიზის შედეგად აყალიბებს მისეულ პოზიციას. კანდიდატის წერის უნარის დასტურს წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი აქტები, რომელთა პროექტების მომზადებაში კანდიდატი მონაწილეობს აქტიურად.

ირაკლი ქსოვრელმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციისა და გამართულად მეტყველების უნარი. კანდიდატს გააჩნია სხვისი აზრის დინჯად მოსმენის, განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი. კანდიდატი საუბრობს მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოსცემს ნათლად და მკაფიოდ. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატს შეუძლია აუღელვებლად მოისმინოს სხვისი, მათ შორის განსხვავებული აზრიც და სამართლებრივად გამართულად დაასაბუთოს და გადმოსცეს საკუთარი პოზიცია. ამასთან, კანდიდატის

დამახასიათებელი თვისებაა სამართლებრივ თემებზე არგუმენტირებული კამათი და პაექრობა, თუმცა ყოველთვის აუღელვებლად ისმენს სხვის აზრს და პოზიციას.

პროფესიული თვისებები: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ირაკლი ქსოვრელს ახასიათებენ როგორც უაღრესად შრომისმოყვარე და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პიროვნებას. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატს აქვს კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევები, საკითხის გუნდური მუშაობის პრინციპის გამოყენებით გადაწყვეტის უნარი. ამასთან, ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ მიუთითებს იმ გარემოებას, რომ ირაკლი ქსოვრელი რთულად იცვლის პოზიციას საწინააღმდეგო პროფესიული არგუმენტების შესაძლო სიმრავლის მიუხედავად.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სამართლებრივ საკითხებზე გამართულ 2 ღონისძიებაში, კერძოდ ეროვნული თავდაცვისა და ადამიანის უფლებების, ევროკავშირის სამართლის ტრენინგებში.

კანდიდატი არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

2013-2015 წლებში კანდიდატმა მოიპოვა შვედეთის ინსტიტუტის ვიზბის პროგრამის სტიპენდია სამაგისტრო სწავლებისათვის.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ქსოვრელი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში და უძღვება შემდეგ სალექციო კურსებს: საკონსტიტუციო სამართალწარმოება და კონსტიტუციური კონტროლი.

ამასთან, კანდიდატს აქვს გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია სახელწოდებით „საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური უფლებების გამოყენება - უფლების დაცვის ეფექტური საშუალება (Application of The Constitutional Rights by the Common Courts - Effective Remedy for Human Rights Protection).

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. ირაკლი ქსოვრელი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 85 ქულით, კერძოდ:
   2.1.სამართლის ნორმების ცოდნა - 20 ქულა;

2.2.სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 22 ქულა;
2.3.წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 18 ქულა:
2.4.პროფესიული თვისებები - 13 ქულა;
2.5.აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 8 ქულა;
2.6.პროფესიული აქტივობა - 4 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021